საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №127/ნ

2024 წლის 23 ივლისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 03/01/2012; სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.022.016266) და ბრძანების მეორე პუნქტით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების“:

1. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ანაწილებს მოვალეობებს მართვის სისტემის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, აკონტროლებს მართვის სისტემის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას, ახდენს უფლებამოსილებათა დელეგირებას;”.

2. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს „ი“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) სტრატეგიული განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.“.

3. მე-9 მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

4. მე-10 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ერთეულებში, ასევე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის დანერგვის ტექნიკური მხარდაჭერა.“.

5. 13^1 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 13^2 მუხლი:

„მუხლი 13^2. სტრატეგიული განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

სტრატეგიული განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციებია:

ა) მართვის სისტემის გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავება და შესრულების კოორდინაცია;

ბ) მართვის სისტემის კომპეტენციის ფარგლებში უცხო ქვეყნებთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პოლიტიკის შემუშავება და წარმართვა;

გ) მართვის სისტემის კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო დოკუმენტების (ხელშეკრულებები,

შეთანხმებები, მემორანდუმები, თანამშრომლობის პროგრამები და სხვ.) მომზადება და შესაბამისი პროცედურების წარმართვა;

დ) მართვის სისტემის კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო ან/და დონორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი;

ე) მართვის სისტემის კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების კოორდინაცია;

ვ) საზღვარგარეთ საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენცია, ფორუმი, სიმპოზიუმი და სხვა) მართვის სისტემის მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფა, მხარდაჭერა და ანალოგიურ ღონისძიებათა საქართველოში მოწყობის კოორდინაცია;

ზ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის დაგეგმვა და განხორციელება;

თ) საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესის მართვა და კოორდინაცია;

ი) მართვის სისტემის მიერ განხორციელებული რეფორმების, პროექტების, სიახლეებისა და მიღწევების შესახებ ეფექტიანი საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა და წარმართვა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის
მინისტრი **გიორგი ამილახვარი**